IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

N20190923 19.09.2019

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს

ბატონ თორნიკე რიჟვაძეს

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო თორნიკე,

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 5 აპრილს, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიამ გაავრცელა განცხადება, რომ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქ. №338-ში მდებარე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ ტერიტორიაზე, აღმოაჩინა 1937-1938 წლებში ბოლშევიკური რეპრესიების დროს ე.წ. „სტალინური სიების" მიხედვით დახვრეტილ მოქალაქეთა 4 სამაროვანი, რომელშიც 150-მდე ადამიანის ნეშტი იყო მოთავსებული. მოგვიანებით ეპარქიის წარმომადგენლებმა მიაკვლიეს კიდევ 1 სამაროვანს. გახსნილი სამაროვნებიდან ამოღებული ნეშტები ეპარქიის წარმომადგენლებმა მოათავსეს სპეციალურ ყუთებში და დაასვენეს ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სარდაფში.

ეპარქიის მიერ განცხადების გამოქვეყნებამ გამოიწვია საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა და გაჩნდა ბევრი კითხვა, რის შემდგომაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით, ა/წ 11 აპრილს სამაროვნებთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური კომისია. IDFI-ის ინსტიტუტის აღმასრულებელმა და პროგრამების დირექტორებმა, გიორგი კლდიაშვილმა და ლევან ავალიშვილმა მონაწილეობა მიიღეს კომისიის პირველ ოფიციალურ სხდომაში.

ეპარქიის მიერ განცხადების გამოქვეყნების შემდგომ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) დაიწყო აქტიურად ბათუმში და აჭარაში რეპრესირებული პირების შესახებ საარქივო დოკუმენტების მოძიება და დაადგინა, რომ 1937-1938 წლებში აჭარაში სულ 1050 ადამიანი დახვრიტეს. IDFI-მ აღნიშნული სია გადასცა ბათუმის და ლაზეთის ეპარქიის წარმომადგენლებს.

27 აგვისტოს ჩვენმა ინსტიტუტმა წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს რამდენიმე კითხვით: **სულ რამდენი სამუშაო შეხვედრა გამართა კომისიამ? ჩატარდა თუ არა უკვე აღმოჩენილ ნეშტებზე ექსპერტიზა ან/ და სხვა პროცედურები? შეიქმნა თუ არა დნმ ბანკი? მოხდა თუ არა აღმოჩენილი ნეშტების დაკრძალვა**

მის: ალ. გრიბოედოვის ქ.№ 3, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: +995 32 292 15 14
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-გვერდი: www.idfi.ge

**ან მიღებულია თუ არა გადაწყვეტილება აღნიშნულის თაობაზე? მოხდა თუ არა ადგილის შესწავლა და აღმოჩენილია თუ არა კომისიის შექმნის შედეგად ახალი სამაროვნები? გაკეთდა თუ არა პროექტი საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალის და სასაფლაოს მოსაწყობად სამარხების აღმოჩენის ადგილას?**

აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროდან მივიღეთ პასუხი (იხ. დანართი): **რომ სულ გაიმართა კომისიის 2 ოფიციალური სხდომა და რამდენიმე სამუშაო შეხვედრა; სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ განახორციელა ნეშტებიდან შესაბამისი დნმ მასალის აღება და შექმნა შესაბამისი ბაზა; ასევე ახლად აღმოჩენილი სამარხების შესწავლის და შესაბამისი სამუშაოების ჩატარების მიზნით, აჭარის ა/რ განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ეთხოვა სამუშაო ჯგუფის შექმნა; ზემოხსენებულ მისამართზე სავარაუდო სამარხების შესწავლის მიზნით მომზადდა სიტუაციური ნახაზი და გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ტერიტორიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან.** სამინისტრომ ასევე გვაცნობა, რომ **ამ ეტაპზე ნეშტების დაკრძალვის ადგილი და თარიღი გადაწყვეტილი არ არის**.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) მადლიერებას გამოხატავს აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ გატარებული ღონისძიებების გამო, თუმცა აქვე მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნაბიჯები საკმარისი არ არის და ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი.

IDFI თვლის, რომ აუცილებელია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- აჭარის ა/რ მთავრობამ უნდა გამოყოს შესაბამისი ბიუჯეტი 1937-1938 წლებში ბათუმთან რეპრესირებულთა დახვრეტის და დამარხვის ადგილების შესასწავლად, რეპრესირებულთათვის სათანადო პატივის მისაგებად, მათი ნეშტების იდენტიფიკაციისთვის და ხსოვნის უკვდავსაყოფად;
- უნდა დაკომპლექტდეს არქეოლოგთა და სპეციალისტთა ჯგუფი რომელიც იმუშავებს უკვე აღმოჩენილ სამაროვნებზე და ასევე გააგრძელებს დანარჩენი სამაროვნების ძებნას;
- ტერიტორია, სადაც  სამარხები აღმოჩნდა, თავდაცვის სამინისტროს ბალანსიდან უნდა გადაეცეს ბათუმის მერიას და აქ უნდა მოეწყოს საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა მემორიალური კომპლექსი;
- უნდა წარიმართოს აქტიური კამპანია, რათა რაც შეიძლება მეტმა რეპრესირებულთა შთამომავალმა ჩააბაროს საკუთარი დნმ მასალა, რომელიც შედარებული იქნება ნეშტებიდან აღებულ ნიმუშებთან. IDFI-ს მიერ გამოვლენილი სიის მიხედვით დგინდება, რომ რეპრესიების დროს პერიოდულად, კონკრეტულ თარიღებში ხვრეტდნენ რამდენიმე ათეულ ადამიანს, რომლებსაც ერთ სამარხში ათავსებდნენ (ასეთი ჯერჯერობით სულ 5 სამარხია აღმოჩენილი). იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რამდენიმე ნეშტის იდენტიფიკაცია მაინც, ზუსტად დადგინდება, თუ რომელ დღეს დახვრეტილი ადამიანები არიან მოთავსებული სამარხში;
- უნდა წარიმართოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები მოსახლეობაში, განსაკუთრებით სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის, რაშიც უნდა ჩაერთოს მთავრობა, სასულიერო პირები, სპეციალისტები და ორგანიზაციები რათა აქტიურად გავრცელდეს ინფორმაცია 1937-38 წლებში მიმდინარე ე.წ. „სტალინური ტერორის“ შესახებ;

- საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შორის უნდა შედგეს შეთანხმება იდენტიფიკაციის გარეშე დარჩენილი ნეშტების ერთობლივად დაკრძალვის თაობაზე, მოლაპარაკებებში აქტიურად უნდა ჩაერთოს სახელმწიფოც.

**ბატონო თორნიკე, გთხოვთ, პირად კონტროლზე აიყვანოთ აღნიშნული საქმე. ვინაიდან ბათუმთან აღმოჩენილი მასობრივი დახვრეტის და დამარხვის ადგილი არის საქართველოში აღმოჩენილი 1937-1938 წლებში რეპრესირებულთა ერთადერთი, დიდი ალბათობით დადასტურებული სამაროვანი, ამიტომ სახელმწიფომ ამ საკითხს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და უმოკლეს ვადაში გაატაროს საჭირო ღონისძიებები.**

რეპრესირებულთა ხსოვნის უკვდავყოფა უმნიშვნელოვანესი საკითხია პოსტ-საბჭოთა სივრცეში. მრავალ ქვეყანაში მსგავს ადგილებზე აღმართულია მემორიალური კომპლექსები, ხოლო სახელმწიფოები აქტიურად ახორციელებენ რეპრესირებულთა ხსოვნის უკვდავსაყოფ, საგანმანათლებლო და სხვა სახის ღონისძიებებს.

IDFI კვლავაც მზადაა გამოიყენოს თავისი რესურსი და დაგროვილი ცოდნა ამ პროცესში სახელმწიფოს ხელშესაწყობად და ღონისძიებების ეფექტურად განსახორციელებლად.

წინასწარ მადლობას გიხდით ყურადღებისთვის!

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი